მშრომელთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 147 (10541) | სამშაბათი, 26 ივნისი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის

3 რესაში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების შესახებ მეხუთე ხუთწლედის წლებში (1951-1955 წლები).

საქართველოს მშრომელებმა სსრ კავშირის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის უანგარო დახმარებით ახალი წარმატებანი მოიპოვეს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

მეხუთე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის წარმატებით განვითარება ახალი ეტაპი იყო საქართველოს სსრ ეკონომიკის, კულტურისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის გზაზე.

საბჭოთა ადამიანები კანონიერი სიამაყის გრძნობით შეხვდნენ სასიხარულო ცნობას მეხუთე ხუთწლედის შესრულების შესახებ და ახალი ძალით აჩაღებენ საყოველთაო-სახალხო ბრძოლას მორიგ წარმატებათა მოსაპოვებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში ნათქვამია, რომ რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის ცალკეულ დარგებში მნიშვნელოვნად გადაჭარბებულია განვითარების დონე, რომელიც მიღწეული იყო წინა, მეოთხე ხუთწლედში. ხუთწლედის განმავლობაში სისტემატურად მთლიანად და გადაჭარბებით სრულდებოდა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის წლიური გეგმები, დიდდებოდა სახელმწიფო კაპიტალდაბანდებანი სახალხო მეურნეობაში.

მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება 1955 წელს 1950 წელთან შედარებით 71 პროცენტით გადიდდა. პროდუქციის მატების საშუალო წლიური ტემპი 1951-1955 წლებში 11,3 პროცენტს შეადგენდა.

სწრაფად ვითარდებოდა საქართველოში მძიმე მრეწველობა, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესების საფუძველია.

გაწეულია სერიოზული მუშაობა ელექტროფიკაციის საქმეში. რესპუბლიკაში ელექტროენერგია გასულ წელს გამომუშავებულია 60 პროცენტით მეტი, ვიდრე 1950 წელს.

გასული ხუთწლედის მანძილზე სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა მანქანათმშენებელი მრეწველობა. გადიდდა საშენ მასალათა წარმოება, მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის გამოშვება, წარმატებით ვითარდებოდა კვების მრეწველობა. ფართოდ განვითარდა სამშენებლო ინდუსტრია, ხორციელდებოდა სამშენებლო ორგანიზაციების გამსხვილება.

შემდგომი წარმატებებია მოპოვებული სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში. გადიდდა ნათესი ფართობები და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. 1955 წელს 1950 წელთან შედარებით გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების — ხორცის, რძის, კვერცხის წარმოება. ერთი ძროხის საშუალო წველადობა კოლმეურნეობებში გადიდდა 68 პროცენტით. უკანასკნელ წლებში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის.

მეხუთე ხუთწლედში ამაღლდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის დონე.

გასულ ხუთწლედში მიღწეულია საქართველოს მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება. მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში 17 პროცენტით გადიდდა. საკონელბრუნვის წლიური გეგმები მეხუთე ხუთწლედში მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებული და გადაჭარბებით. გაიზარდა მოსახლეობისათვის სახალხო მოხმარების საქონლის მიყიდვა. დიდი მუშაობაა გაწეული საბინაო მშენებლობის დარგში.

1951-1955 წლებში უმაღლესმა და საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის გამოუშვეს 59 ათასი სპეციალისტი, ანუ 15 პროცენტით მეტი, ვიდრე 1946-1950 წლებში. უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა რიცხვი სახალხო მეურნეობაში 1,2-ჯერ გადიდდა.

საბჭოთა ადამიანებს არ სჩვევიათ მიღწეულით თვითდამშვიდება. სახალხო მეურნეობის, კულტურის ახალი მძლავრი განვითარების, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი განვითარების ამოცანები მოითხოვს აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, მთლიანად გამოვიყენოთ ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული რეზერვები.

როგორც გამოქვეყნებული ცნობიდან ჩანს, მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის ტემპები საკმაო არ არის, ვხედებით დიდ ნაკლოვანებებს ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეში. ელექტროსადგურების მშენებლობა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების ზრდას. უნდა აღინიშნოს, რომ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების მიღწეული დონე კვლავ არ არის საკმარისი იმის გამო, რომ სამინისტროები, უწყებები და საწარმოები დამაკმაყოფილებლად ვერ მუშაობენ ახალი ტექნიკის დასანერგავად. ჯერ კიდევ არის ფაქტები, როცა მსუბუქი მრეწველობის საწარმოები უშვებენ არადამაკმაყოფილებელი ხარისხის საქონელს.

მრეწველობის მუშაკებმა ყოველი ღონისძიებით უნდა გაუმჯობესონ შრომისა და წარმოების ორგანიზაცია, განამტკიცონ შრომის დისციპლინა, უზრუნველყონ საწარმოთა რიტმული მუშაობა, იბრძოლონ მომჭირნეობის რეჟიმისათვის, გაუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი და შეამცირონ მისი თვითღირებულება.

სერიოზული საკითხებია გადასაჭრელი სოფლის მეურნეობაში. მარცვლეული კულტურების წარმოების ნაკლია ჯერ კიდევ მცირე მოსავლიანობა და მარცვლის მნიშვნელოვანი დანაკარგები მოსავლის აღების დროს.

ჯერ კიდევ დაბალია მერძეული პირუტყვის პროდუქტიულობა. კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში სუსტად ინერგებოდა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, გარდა ცხვრის ელექტროაგრეგატებით პარსვისა.

კოლმეურნე გლეხობის, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შეუპოვრად იბრძოლონ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის, ტრაქტორების, კომბაინების და სხვა მანქანების სრული სიმძლავრით გამოყენებისათვის. მათი ღირსებისა და სახელის საქმეა მკვეთრად გაადიდონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის გამოსავლიანობა ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე შრომისა და სახსრების რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯით.

ჩვენი გმირი მუშათა კლასის, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის წმიდათა-წმიდა საქმეა შეძენილი გამოცდილების გამოყენებით, დაუღალავი შემოქმედებითი შრომით ამრავლონ მიღწევები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით კიდევ უფრო მაღლა ასწევენ მეექვსე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების დროშას, კვლავაც შეუპოვრად იბრძოლებენ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის და უზრუნველყოფენ მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებას.

ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი და დედოფალი სორეია მოსკოვს ჩამოვიდნენ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პირადად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის მოწვევით დღეს მოსკოვს ჩამოვიდა მისი უდიდებულესობა ირანის შაჰინშაჰი რეზა ფეჰლევი და მისი უდიდებულესობა დედოფალი სორეია.

ირანელ სტუმრებს შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, მეუღლითურთ, ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიქოიანი, მ. გ. პერვუხინი, გ. კ. ჟუკოვი და საბჭოთა სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები. აეროდრომზე შემხვედრთა შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებულ საელჩოთა და მისიათა მეთაურები, მუსლიმური სამღვდელოების წარმომადგენლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

ირანისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ცენტრალურ აეროდრომზე შეხვედრის დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შეასრულეს ირანისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა და ირანის შაჰინშაჰმა მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. (საკდესი).

საბჭოთა კავშირ-იემენის კომუნიკე

იემენის მემკვიდრე პრინცის, პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ემირ სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრის სსრ კავშირში ყოფნის შესახებ

სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით 1956 წლის 11-დან 25 ივნისამდე საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა იემენის მემკვიდრე პრინცი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ემირი სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრი, რომელსაც ახლდა ოფიციალური პირებისა და საქმიანი წრეების წარმომადგენელთაგან შემდგარი დელეგაცია.

მემკვიდრე პრინცმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ინახულეს მოსკოვი, ბაქო, სოხუმი, სტალინგრადი, ლენინგრადი, დაათვალიერეს მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები, კულტურული დაწესებულებები, იყვნენ სოფელ ადგილებში, აგრეთვე კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს კურორტებზე.

მოსკოვში ყოფნის დროს მემკვიდრე პრინცს ემირ სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრს და მის თანმხლებ პირებს მთელი რიგი საუბრები ჰქონდათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან კ. ე. ვოროშილოვთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ნ. ა. ბულგანინთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან მ. გ. პერვუხინთან, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთან დ. ტ. შეპილოვთან, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრთან ი. გ. კაბანოვთან, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსთან კ. ი. კოვალთან.

ამ საუბრების დროს, რომლებიც მიმდინარეობდა გულწრფელი გულითადობის ვითარებაში, მოხდა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-იემენის ურთიერთობის საკითხებზე, აგრეთვე ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემაზე, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს, და, კერძოდ, არაბთა ქვეყნების პრობლემებსა და ახლო და შუა აღმოსავლეთში უკანასკნელი დროის ამბებზე.

დიდი კმაყოფილებით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და იემენის ურთიერთობა მუდამ იყო და არის მეგობრული და გულწრფელი და ეს სავსებით შეესაბამება როგორც საბჭოთა კავშირის, ისე იემენის სახელმწიფო ინტერესებს, ხელს უწყობს მშვიდობის განმტკიცებას ახლო და შუა აღმოსავლეთში. ეს ურთიერთობა ემყარება აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციაზე მოწონებულ პრინციპებს, მათ შორის თანასწორობის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაუერევლობის პრინციპებს.

საუბრების შედეგად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული უახლოეს დროში მოახდინონ დიპლომატიურ წარმომადგენელთა გაცვლა სსრ კავშირსა და იემენს შორის, რაც გათვალისწინებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იემენის მუტავაკილიის სამეფოს შორის მეგობრული კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლით. ამასთან მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ეგვიპტეში ამავე დროს აკრედიტებულ იქნას სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან დესპანად იემენში, ხოლო იემენის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი ეგვიპტეში ამავე დროს აკრედიტებულ იქნას იემენის საგანგებო და სრულუფლებიან დესპანად სსრ კავშირში.

მოსკოვში ყოფნის დროს მხარეებმა დაუზუსტეს იმ საქონლის სიები, რომელიც ექვემდებარება ურთიერთმიწოდებას არსებული სავაჭრო შეთანხმებით, და მიღწეულ იქნა შეთანხმება საბჭოთა კავშირის მიერ იემენისათვის მთელი რიგი საბჭოთა საქონლის მიყიდვისა და იემენის მიერ საბჭოთა კავშირისათვის ყავის მიყიდვის შესახებ.

დასახულ იქნა თანამშრომლობის ძირითადი ხაზები, რათა დახმარება გაეწიოს იემენს ეკონომიური განვითარების სურვილების განხორციელებაში რეკონსტრუქციის პროექტების შესრულებისა და სათანადო მასალებისა და მოწყობილობის მიღების გზით. ამ მიზნით საბჭოთა კავშირი იემენს მისცემს შეღავათიან პირობებს ყოველივე იმის მიმართ, რაც შეეხება შეკვეთებს, რომლებსაც იგი გააკეთებს.

აზრთა გაზიარების მსვლელობაში ხაზგასმით აღინიშნა საბჭოთა კავშირისა და იემენის მუტავაკილიის სამეფოს მთავრობათა მტკიცე გადაწყვეტილება კვლავ განუხრელად განახორციელონ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრული თანამშრომლობის პოლიტიკა, აგრესიულ სამხედრო კავშირებში მონაწილეობის მიუღებლობის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპებისა და ბანდუნგის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლებისათვის მხარდაჭერის პოლიტიკა.

ორივე მხარემ გამოთქვა რწმენა, რომ იემენისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის დამყარებული პირადი კონტაქტი ხელს შეუწყობს ორივე სახელმწიფოს ხალხებს შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეს.

შედგენილია მოსკოვში 1956 წლის 23 ივნისს.

სსრ კავშირის მთავრობისაგან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. ა. ბულგანინი.

იემენის მუტავაკილიის სამეფოს მთავრობისაგან იემენის მემკვიდრე პრინცი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ემირი სეიფ ულ-ისლამ
მოჰამედ ელ-ბადრი.

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-იემენის კომუნიკეს იემენის მემკვიდრე პრინცის, პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ემირ სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრის სსრ კავშირში ყოფნის შესახებ

23 ივნისს მოსკოვში ხელი მოაწერეს კომუნიკეს იემენის მემკვიდრე პრინცის, პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ემირ სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრის სსრ კავშირში ყოფნის შესახებ.

კომუნიკეს ხელს აწერენ: სსრ კავშირის მთავრობისაგან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, იემენის მუტავაკილიის სამეფოს მთავრობისაგან იემენის მემკვიდრე პრინცი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ემირი სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრი.

კომუნიკეს ხელმოწერას საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ: კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, ნ. ს. ხრუშჩოვი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ტ. კალჩენკო, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, ეკონომიური კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი კ. ი. კოვალი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ა. გრომიკო და ვ. ს. სემიონოვი.

იემენის მხრივ დაესწრნენ: იემენის სახელმწიფო მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ელ-ყადი მოჰამედ ელ-ამრი, იემენის სახელმწიფო მინისტრი და ფინანსთა მინისტრი ელ-ყადი აბდურაჰმან ელ-საიაგი, იემენის მთავრობის პოლიტიკური მრჩეველი დოქტორი ჰასან ბაღდადი, იემენის საქმეთა რწმუნებული გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აბდელ რაჰმან ელ-ბაიდანი, სავაჭრო მრჩეველი შეიხი ალი ელ-ჯაბალი, მდივანი დოქტორი ისა ელ-ნაჰლია და მემკვიდრე პრინცის სხვა თანმხლები პირები. კომუნიკეს ხელმოწერას დაესწრნენ საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები. (საკდესი).

საჰაერო პარადი ტუშინოს აეროდრომზე მოსკოვში

კვირას, 24 ივნისს, მთელმა ჩვენმა ქვეყანამ აღნიშნა სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე. ტრადიციული საჰაერო პარადი გაიმართა ტუშინოს აეროდრომზე მოსკოვში.

დილაადრიან დედაქალაქის ათასობით მშრომელი გაემართა ტუშინოსაკენ. უზარმაზარი მწვანე მინდორი გადათეთრდა მოსკოველთა საზაფხულო კოსტიუმებისაგან. ხალხით გაჭედილია მაყურებლებისათვის გამოყოფილი ყველა სექტორი. მარტო ცენტრში დაუკავებელი დარჩა ბალახის ზურმუხტოვანი ხალიჩა.

სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის შენობა სადღესასწაულოდ არის მორთული. ფრიალებს მრავალი ალამი, რაც განსაკუთრებულ სადღესასწაულო სახეს აძლევს შენობას.

აეროკლუბის ტრიბუნაზე გამოდიან ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, ნ. ი. ბელაიევი, პ. ნ. ჰოსპელოვი, აქვე არიან საბჭოთა კავშირის მარშლები და ავიაციის მარშლები. მაყურებლები მქუხარე ტაშით ხვდებიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

საჰაერო დღესასწაულს ესწრებიან იემენის მემკვიდრე პრინცი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ემირი სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრი და მისი თანმხლები პირები.

პარადს ესწრებიან დიპლომატიური კორპუსის წევრები, უცხოეთის სახელმწიფოთა სამხედრო და სამხედრო-საჰაერო ატაშეები.

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღესასწაულზე ჩამოვიდა უცხოეთის ბევრი სამხედრო-საავიაციო დელეგაცია. დამსწრეთა შორის არიან დელეგაციების მეთაურები: ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისა — გენერალ-მაიორი ხიტო ჩაკო, ავღანეთისა — პოლკოვნიკი აბდულ რეზაკი, ბირმის კავშირისა — გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე და სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი ტ. კლიფტი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — გენერალ-ლეიტენანტი ზახარი ზახარიევი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — გენერალ-მაიორი ფერენც მადარასი, დიდი ბრიტანეთისა — ავიაციის მინისტრი ნ. ბერჩი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა — გენერალ-მაიორი ვან ტიენ დუნგი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — გენერალ-მაიორი ცორნ ჰაინცი, დანიისა — სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ანდერსენი, ეგვიპტისა — სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსი ავიაციის ვიცე-მარშალი მუჰამედ სიდკი მაჰმუდი, ინდოეთის რესპუბლიკისა — ავიაციის კომოდორი დ. სინგჰი, ინდონეზიის რესპუბლიკისა — სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსი, ვიცე-მარშალი სურიადარმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა — გენერალ-პოლკოვნიკი ლუ ია-ლოუ, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა — გენერალ-ლეიტენანტი ვან ლენი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა — პოდპოლკოვნიკი ტოგოჩინ სამდანი, ნორვეგიისა — სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ბ. მოტცფელდტი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — გენერალ-მაიორი ბ. კადაზანოვიჩი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა — გენერალ-ლეიტენანტი ნ. ლოპესკუ, სირიისა — პოდპოლკოვნიკი რ. კელიანი, ამერიკის შეერთებული შტატებისა — სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსი, გენერალი ტუაინინგი, თურქეთისა — სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი, არმიის გენერალი უჩანერი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა — გენერალ-ლეიტენანტი ვასაგლო, შვეიცარიისა — სამხედრო-საჰაერო ძალებისა და საჰაერო თავდაცვის სარდალი, დივიზიის პოლკოვნიკი ეტიენ პრიმო, შვეციისა — გენერალ-მაიორი ნილს გუსტავ რამსტრემი, ფინეთისა — გენერალ-მაიორი რ. ე. არტოლა, საფრანგეთისა — არმიის გენერალი ბაილი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისა — გენერალ-პოდპოლკოვნიკი ვ. ბუბანი, გენერლები და ოფიცრები — დელეგაციების წევრები.

აეროდრომზე იყვნენ აგრეთვე უცხოეთის საავიაციო-სასპორტო დელეგაციები, რომლებიც ჩამოვიდნენ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის მოწვევით.

დილის ათი საათია. ფანფარები მოუწოდებენ: „ისმინეთ ყველამ!“. უდიდესი ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნს, გრიალებს საარტილერიო სალუტის ზალპები.

„მარჯვნივ აეროდრომს უახლოვდება თვითმფრინავთა პირველი ჯგუფი!“ — აცხადებს რადიო. სულ უფრო უახლოვდებიან მინდვრის ცენტრს მანქანები „იაკ-12“. მკაფიო მწყობრით მოდიან ისინი. ეს მედროშე თვითმფრინავებია. ისინი მოჰყავს ცნობილ პილოტ-სპორტსმენს პერეეზენცევს. თვითმფრინავები სულ ახლოს არიან. კარგად მოჩანს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალამი საფლაგმანო თვითმფრინავზე. სხვა თვითმფრინავებს მოაქვთ თექვსმეტი მოკავშირე რესპუბლიკის ალმები, ლოზუნგი „დიდება საბჭოთა ხალხს“.

გაისმა ტაში. იგი სულ უფრო გაძლიერდა და ოვაციად იქცა. ლაქვარდ ცაში გამოჩნდა მკაფიო წარწერა:

დიდება სკკკ

სიყვარულით და სიამაყით წარმოთქვამს ამ სიტყვებს საბჭოთა ხალხი. თავისი მანქანების — „იაკ-18“ მწყობრით გამოსახა ცაში ეს სიტყვები 76 პილოტმა-სპორტსმენმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ საჰაერო პილოტაჟის ოსტატები უდოვიცკი და ზაპოროჟეცი. დისტანციები და ინტერვალები უკიდურესად შემცირებულია, რყევა, მიცემული კურსის აცდენა გამორიცხულია.

საჰაერო პარადის პირველი განყოფილების (ხელმძღვანელი საბჭოთა კავშირის გმირი ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ტ. ფ. კუცევალოვი) პროგრამაშია არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მფრინავთა საავიაციო-სასპორტო ვარჯიშის ჩვენება.

აი აეროდრომს მოუახლოვდა თვითმფრინავი, რომელიც მოჰყავს სპორტის დამსახურებულ ოსტატს ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენს ზახუდალინს. ბუქსირზეა ლამაზი პლანერი. გვარლი მოხსნეს, და პლანერისტი სპორტის ოსტატი ჩებოტარიოვი იწყებს რთული ფიგურების სერიას. საოცარი მანევრირებით, აღმავალი ნაკადების გამოყენებით იგი პიკირებს, პირაღმა ფრინავს, აკეთებს ნესტეროვის მარყუჟებს. შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს საბჭოთა პლანერისტებმა. წინასწარ დასახული წერტილისაკენ მსოფლიოში ყველაზე შორი გაფრენა მოახდინა უკრაინელმა სპორტსმენმა ეფიმენკომ — 636 კილომეტრსა და 877 მეტრზე. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ილჩენკომ მგზავრთან ერთად ჰაერში დაჰყო 9 საათი, გაიარა რა მანძილი 829 კილომეტრი და 822 მეტრი. ეს მსოფლიო რეკორდია.

მრავალმა მაყურებელმა მქუხარე ტაშით დაჯილდოვა პლანერისტი ჩებოტარიოვი, აგრეთვე ცენტრალური აეროკლუბის სპორტსმენები სტაროსტენი, ტოსკაევი, აბრამოვი, რომლებიაც, აფრინდნენ რა ავტოსტარტის დახმარებით, პლანერებზე პილოტაჟის ნაღალი ოსტატობა უჩვენეს.

დაეშვნენ ძირს თუ არა პლანერები, ყველას ყურადღება მიიპყრო მსუბუქმოტორიან სასპორტო თვითმფრინავთა შვიდეულმა. ისინი მოვიდნენ საფეხურად შეკრული მწყობრით. მანქანებში არიან მფრინავი ქალები. თვითმფრინავები ერთმანეთის უკან დაეწყვნენ, ტრიალებენ. „ქალიშვილების ფერხული!“ — ხუმრობენ მაყურებლები. პიკირება. ნესტეროვის მარყუჟზე გადასვლა სპირალური ტრაექტორიით. ნესტეროვის მარყუჟი. საბრძოლო გაშლა, გადატრიალება... მიწიდან ტაშს უკრავენ ცნობილ მოსკოველ მფრინავს ბოდრიაგინას, სტალინგრადის აეროკლუბის ინსტრუქტორს ლამზინას, კალინინის აეროკლუბის ინსტრუქტორს ზნამენსკაიას, კრასნოდარის აეროკლუბის ინსტრუქტორს ლებედს, ინჟინერ ხაზანოვასა და სხვებს.

სულ ორი წუთი გავიდა, და საჰაერო ასპარეზი უკვე დაიკავა 21 თვითმფრინავმა. ისინი წეროების გუნდს მოგვაგონებენ. ჯგუფის მეთაურია მფრინავი ნაზაროვი. მეტროს მემანქანე დავიდოვი, მხატვარი რიმაშევსკი, ინჟინერი შჩეპკინი, სტუდენტი ტიხონოვი, სხვა პილოტები, ამასთან მათი უმრავლესობა პირველად მონაწილეობს საჰაერო პარადში, თამამად ასრულებენ ფიგურას ფიგურაზე. ცაში გიგანტური სპირალია. იგი თითქოს იხვევა. თვითმფრინავები ძვრებიან მანქანებს შორის ინტერვალებში. სასპორტო თვითმფრინავების თავისებურ ცეკვას აღტაცებაში მოჰყავს მაყურებლები.

დღესასწაულის პირველ განყოფილებაში ოსტატობა გვიჩვენა თითქმის 200 ავიატორმა სპორტსმენმა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდნენ მოსკოვში. ესენი არიან მუშები და მოსამსახურეები, მინდვრის მშრომელები, ინჟინრები, სტუდენტები, საშუალო სკოლების მოსწავლეები. ისინი გატაცებით ეწევიან საავიაციო სპორტს, რომელიც ნერგავს ისეთ ძვირფას თვისებებს, როგორიც არის ნებისყოფა, სიმამაცე, გამბედაობა, გამძლეობა.

მცირე სიმაღლეზე აეროდრომს მოუახლოვდა მიქოიანის კონსტრუქციის რეაქტიული ავიაგამანადგურებელი. იგი მინდორზე გამოჩნდა მოულოდნელად, პირდაპირ გაიელვა, მფრინავი მაიორი ლაპშინი რამდენიმე წამის შემდეგ კვლავ ზევით აიჭრა. აღმავალი წერტილი ნახევარმარყუჟზე გასვლით. თვითმფრინავი მინდორზე მიჰჭრის, თითქოს გაჩანება სურსო. მანქანა ადის „ჰაერის მთაზე“. თვითმფრინავი ტრიალებს გრძივი ღერძის გარშემო, ბურღივით იჭრება ჰაერში.

ასე დაიწყო საჰაერო პარადის მეორე განყოფილება (ხელმძღვანელი ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი ს. უ. რუბანოვი), რომელშიც მონაწილეობდნენ საბრძოლო-საჰაერო ძალების მფრინავები.

ცაში გამოჩნდა კიდევ ერთი ვერცხლისფერი წერტილი. იგი სულ ახლოს არის. ეს რეაქტიული თვითმფრინავია, რომელსაც პილოტობს პოდპოლკოვნიკი პავლოვი. იგი აკეთებს ჯასრიან გორაკს, ნესტეროვის მარყუჟს პიკირებისათვის 180 გრადუსზე შებრუნებით. მანქანა ძალიან დიდი სიჩქარით მიდის, ასრულებს ფიგურების ჯასკადს, მაგრამ იგი მუდამ ჩანს. თავის გზას მფრინავი აღნიშნავს კვამლის ტრასით. კვლავ ატყდა ტაში როცა აეროდრომს მოუახლოვდა ოთხი რეაქტიული ავიაგამანადგურებელი პოლკოვნიკ სოლოვიოვის მეთაურობით. თვითმფრინავები უკან ტოვებენ კვამლის შლეიფს და ლურჯ ცაზე ხაზავენ რთულ ფიგურებს.

იმათ შორის, ვინც რეაქტიული თვითმფრინავების ფრენას უყურებდა, იყო უხუცესი რუსი მფრინავი, სსრ კავშირის დამსახურებული პილოტი ავიატორი ბ. ი. როსინსკი. ხოდინკის მინდორზე მისი პირველი გაფრენების შემდეგ ორმოც წელზე მეტი ხანი გავიდა. იგი აღტაცებით ლაპარაკობდა საჰაერო პარადის მონაწილე მფრინავთა განსაკუთრებულ ოსტატობაზე.

საჰაერო ასპარეზზეა პოლკოვნიკ ბაბაევის რეაქტიულ ავიაგამანადგურებელთა ხუთეული. თვითმფრინავები ასრულებენ ნესტეროვის მარყუჟებს. მანქანები თითქოს გადაბმული არიან, მოდიან და თითქმის ფრთებით ეხებიან ერთმანეთს.

დღესასწაულის პროგრამაშია კიდევ ერთი საინტერესო ნომერი — რეაქტიული ავიაგამანადგურებლების ორი რგოლის შეხვდური პილოტაჟი. მათ

(დასასრული მე-2 გვერდზე).

საჰაერო პარადი ჯუშინოს აეროდრომზე მოსკოვში

(დასასრული)

მეთაურობენ პოდპოლკოვნიკები ფოკინი და სტეცენკო. თვითმფრინავები ერთმანეთს შორდებიან და შემხვდური კურსით უახლოვდებიან. კოლონალური სიჩქარეა. მაყურებლები მღელვარებით აღევნებენ თვალს ავიაგამანადგურებლებს. წამი, და მანქანები ერთმანეთს განშორდნენ.

საჰაერო პარადებში არაერთგზის მიუღია მონაწილეობა პოლკოვნიკ შულეიკოს. ამჯერად მან ტუშინოში მოიყვანა ცხრა ავიაგამანადგურებელი. ცხრავე თვითმფრინავი ერთისა და იმავე დროს აკეთებდა რთულ ფიგურებს.

პარადზე ფართოდ იყო წარმოდგენილი თანამედროვე რეაქტიული ტექნიკა. მქუხარე ტაში შეერთო ბომბდამშენებისა და ავიაგამანადგურებლების ტურბინების ხმაურს, რამდენიმე კილომეტრად რომ გაიარეს. საფლაგმანო ხომალდი, რომელსაც ორი ავიაგამანადგურებელი ახლდა, მოჰყავდა საბჭოთა კავშირის გმირს ხარიტონოვს. ავიაგამანადგურებელთა კოლონებს მეთაურობდნენ პოლკოვნიკი ვოკკი და პოდპოლკოვნიკი სტეპანოვი. მრავალმა მაყურებელმა ნახა აგრეთვე ანონოვის კონსტრუქციის ახალი სამგზავრო თვითმფრინავი და ტუპოლევის მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი „ტუ-104“. აჩვენეს აგრეთვე იაკოვლევის, მიქოიანის, სუხოის ახალი სპბრძოლო რეაქტიული თვითმფრინავები. მიჰქროდნენ თვითმფრინავები, რომლებიც მოგვაგონებენ ტორპედოებსა და ისრებს. ქარიშხალივით გაისრიალა უფრთები თვითმფრინავმა, რომელიც ჰგავდა ფოლადის სამყუთხედს, რომელშიც შედუღებულია პატარა მილი.

პარადის მესამე განყოფილება (ხელმძღვანელები საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-ლეიტენანტი ვ. ფ. მარგელოვი და ავიაციის მარშალი ნ. ს. სკრიპკო), როგორც ყოველთვის, მიეძღვნა პარაშუტისტებისა და მედესანტეების ოსტატობის დემონსტრაციას. ექვსი პარაშუტისტის დამიზნით გადმოხტომის შემდეგ ყველამ დაინახა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სპორტსმენების გავანინის, ისანინისა და ანტიუხინის მეტად საინტერესო გადმოხტომა. პარაშუტისტებმა გადალეს პარაშუტები, ნარნარით ეშვებოდნენ ძირს, ხოლო შემდეგ, მოესხნენ და ქვასავით წამოვიდნენ ძირს. რამდენიმე წამის შემდეგ კვლავ გაიშალა ნაირფერი გუმბათები და მამაცი სპორტსმენები ძირს დაეშვნენ. საჰაერო ფლოტის დღეს მოსკოვის ელექტროლამპის ქარხნის ინჟინერმა, მსოფლიო რეკორდსმენმა გავანინმა შეასრულა 280-ე გადმოხტომა, მანქანათმშენებელი ქარხნის ინჟინერმა ისანინმა — 250-ე, ხოლო ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის სპორტსმენმა ანტიუხინმა — 255-ე. დამსწრეებმა დიდი კმაყოფილება მიიღეს 30 პარაშუტისტის — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრების ხუთი თვითმფრინავიდან გადმოხტომის ნახვით. ჯგუფს მეთაურობდა კრამსკოი.

ცაში გამოჩნდა სატრანსპორტო თვითმფრინავების დიდი ჯგუფი საპარაშუტო დესანტის მონაწილეებიანად. ძლიერი ქარის გამო, რომლის სიჩქარე წამში 17 მეტრს აღწევდა, დესანტი არ გადმოუსხამთ.

აეროდრომს მოუახლოვდნენ იაკოვლევის ორფრთიანი „მფრინავი ვაგონები“ და მილის კონსტრუქციის აპარატები (ვერტმფრინავების ჯგუფის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი ეროფეევსკი). რამდენიმე ხანს ისინი ჰაერში „ეკიდნენ“, შემდეგ ვერტიკალურად დაეშვნენ ძირს. გაიღო უკანა ლიუკები, ჩამოუშვეს ტრაპები. თვითმფრინავებიდან გამოვიდნენ მედესანტეები, ავტოსაწვავები, არტილერისტებმა ქვემეხები გამოაგორეს. გავდა რამდენიმე წუთი და მანქანების კოლონა მედესანტეებით და ქვემეხებიმშეული ავტომობილები აეროდრომზე დაიძრნენ.

შემდეგ გაიმართა ავიამოდელების ჩვენება. პატარა, თითქოს სათამაშო, თვითმფრინავები ადიოდნენ, ტრიალებდნენ და კვლავ ზევით იჭრებოდნენ. დიდი ინტერესი გამოიწვია რადიოთი სამართავმა მოდელებმა.

საბჭოთა კავშირის მშრომელები სიხარულით აღნიშნავენ, რომ ერთ წელიწადში, რომელიც სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის შარშანდელი დღიდან გავიდა, საბჭოთა ავიატორებმა და კონსტრუქტორებმა მთელი რიგი შესანიშნავი გამარჯვებანი მოიპოვეს.

საჰაერო პარადი ტუშინოს აეროდრომზე მოსკოვში (მთავარი ხელმძღვანელი ავიაციის მთავარი მარშალი პ. თ. ჟიგარიოვი) ლამაზი, დიდებული სადღესასწაულო სანახაობა იყო. მან ცხადყო სამამულო ავიამრეწველობის ახალი წარმატებანი, სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავთა შემადგენლობის ოსტატობის ზრდა, საავიაციო სპორტის განვითარება.

მილიონობით საბჭოთა ადამიანი უსურვებს სამხედრო და სამოქალაქო მფრინავებს შემდგომ წარმატებებს თანამედროვე ტექნიკის დაუფლებაში, ავიაციის სპორტსმენებს — ახალი რეკორდების დამყარებას, საავიაციო მრეწველობის კონსტრუქტორებსა და მუშაკებს — ახალ შესანიშნავ მიღწევებს პირველხარისხოვანი სამამულო თვითმფრინავების მექმნაში. (საკდესი).

თბილისის საერთო-საქალაქო კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღისადმი

23 ივნისს თბილისში ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრში გაიმართა სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი საერთო-საქალაქო კრება.

თეატრში შეიკრიბნენ ქალაქის საწარმოთა მუშები, საბჭოთა არმიის ოფიცრები და გენერლები, პარტიული, საბჭოთა მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მ. მაღრაძემ.

მოხსენება სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის — საბჭოთა ხალხის დღესასწაულის შესახებ გააკეთა ამხ. ნ. პაპივინმა. მან დაწვრილებით ილაპარაკა კომუნისტური პარტიის მიერ შექმნილი საბჭოთა ავიაციის განვითარების ისტორიაზე, მის როლზე დიდ სამამულო ომში, ჩვენი სამშობლოს უშიშროების უზრუნველყოფაში, საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის დაცვაში, ილაპარაკა საბჭოთა საავიაციო მრეწველობის წარმატებებზე.

კრების დასასრულს გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი და დედოფალი სორეია ფეჰლევი

ბაქო, 25 ივნისი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პირადად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის მოწვევით ჩამოვიდნენ ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი და მისი მეუღლე დედოფალი სორეია ფეჰლევი და მისი თანმხლები პირნი.

ამავე დროს ჩამოვიდა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანში ა. ი. ლავრენტიევი. ჩამოვიდა აგრეთვე ირანელი ჟურნალისტების ჯგუფი.

ბაქოს აეროდრომი მორთულია ირანის, სსრ კავშირისა და აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო ალმებით.

ირანის შაჰინშაჰსა და მის მეუღლეს შეხვდნენ აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ს. გ. რაჰიმოვი, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ი. დ. მუსტაფაევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, არმიის გენერალი ვ. ვ. კურასოვი, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ს. ბაირამოვი, რესპუბლიკის მინისტრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი აბჭოს დეპუტატები, ბაქოს საზოგადოებრიობის და პრესის წარმომადგენელნი.

აეროდრომზე ჩამწკრივებული საპატიო ყარაულის უფროსმა პატაკი მისცა ირანის შაჰინშაჰს. ორკესტრმა შეასრულა ირანის, სსრ კავშირისა და აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო ჰიმნები. ირანის შაჰინშაჰმა მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ და აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ს. გ. რაჰიმოვმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულის ფრონტს.

აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ს. გ. რაჰიმოვი გულითადად მიესალმა ირანის შაჰინშაჰს მოჰამედ რეზა ფეჰლევის და დედოფალ სორეია ფეჰლევის საბჭოთა კავშირში და საბჭოთა აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში მათი ჩამოსვლის გამო.

ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი მივიდა მიკროფონთან და შემდეგი განცხადება გააკეთა:

— მადლობას მოგახსენებთ მოსალმებისათვის. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და განსაკუთრებით თქვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩვენი ჩამოსვლის გამო.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მოგზაურობის შედეგად ჩვენს სახელმწიფოებს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდება. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ვიზიტი ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და ირანის ურთიერთობის განმტკიცებას.

სტუმრები მოსკოვს გაემგზავრნენ ხანმოკლე შესვენების შემდეგ.

დარბაზობა სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის აღსანიშნავად

24 ივნისს ტუშინოს აეროდრომზე საჰაერო პარადის შემდეგ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა გ. კ. ჟუკოვმა დარბაზობა გამართა სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის აღსანიშნავად.

საბჭოთა არმიის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ცენტრალური სახლის საზაფხულო ბაღისაკენ უწყვეტ ნაკადად მიდიან მანქანები. წვეულნი ჩრდილიანი ხეივნებით მიემართებიან ბაღის ცენტრში, სადაც მათ გულთბილად მიესალმებიან საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. დ. სოკოლოვსკი და ავიაციის მთავარი მარშალი პ. თ. ჟიგარიოვი.

მოდიან სულ ახალი სტუმრები. მათ შორის არიან უცხოეთის იმ სამხედრო-საავიაციო დელეგაციების მეთაურები, რომლებიც მოწვეული არიან სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის დღესასწაულზე. საბჭოთა კავშირის მარშალები გ. კ. ჟუკოვი და ვ. დ. სოკოლოვსკი, ავიაციის მთავარი მარშალი პ. თ. ჟიგარიოვი მიესალმებიან ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელს გენერალ-მაიორ ხიტო ჩაკოს, ავღანეთისა — პოლკოვნიკ აბდულ რეზაკს, ბირმის კავშირისა — სამხედრო-საჰაერო ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილესა და სარდალს ტ. კლიფტს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — გენერალ-ლეიტენანტ ზახარი ზახარიევს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა გენერალ-მაიორ ფერენც მადარასს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა — გენერალ-მაიორ ვან ტიენ დუნგს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — გენერალ-მაიორ ჰაინც ცორნს, დანიისა — სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალს, გენერალ-ლეიტენანტ ანდერსენს, ეგვიპტისა — სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსს, ავიაციის ვიცე-მარშალს მუჰამედ სიდკი მაჰმუდს, ინდოეთის რესპუბლიკისა — ავიაციის კომოდორ დ. სინგჰს, ინდონეზიის რესპუბლიკისა — სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსს, ვიცე-მარშალ სურიადარმს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა — გენერალ-პოლკოვნიკ ლუ ია-ლოუს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა — გენერალ-ლეიტენანტ ვან ლენს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა — პოდპოლკოვნიკ ტოგოჩიინ სამდანს.

დარბაზობის მონაწილეთა შორის არიან აგრეთვე ნორვეგიის დელეგაციის მეთაური — სამხედრო-საჰაერო ძალების ხალხი, გენერალ-ლეიტენანტი ბ. მოტცფელდი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — გენერალ-მაიორი ბ. კადაზანოვიჩი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა — გენერალ-ლეიტენანტი ნ. ლოპეზკუ, სირიისა — პოდპოლკოვნიკი რ. კელიანი, თურქეთისა — სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი, არმიის გენერალი ფ. უჩანერი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა — გენერალ-ლეიტენანტი ვასაგლო, შვეიცარიისა — სამხედრო- საჰაერო ძალებისა და საჰაერო თავდაცვის სარდალი, დივიზიის პოლკოვნიკი ეტიენ პრიმოი, შვეციისა — გენერალ-მაიორი ნილს გუსტავ რამსტრემი, ფინეთისა — გენერალ-მაიორი რ. ე. არტოლა, საფრანგეთისა — არმიის გენერალი ბაიი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისა — გენერალ-პოდპოლკოვნიკი ვ. ბუბანი. საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი მიესალმება თვითეულ მათგანს და ბევრს ეკითხება, თუ როგორ მოეწონათ საჰაერო პარადი. პასუხად ისმის საბჭოთა მფრინავების ოსტატობის მაღალი შეფასება.

დარბაზობაზე მოვიდნენ დიდი ბრიტანეთის ავიაციის მინისტრი ნ. ბერჩი, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსი გენერალი ტუაინინგი, იხგლისისა და ამერიკის დელეგაციების წევრები, რომლებიც მათ ახლავან. აი გ. კ. ჟუკოვს, ვ. დ. სოკოლოვსკისა და პ. თ. ჟიგარიოვს მიესალმება იემენის მემკვიდრე პრინცი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ემირი სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრი. იემენელ სტუმართან არიან მისი თანმხლები ოფიციალური პირები.

დარბაზობის მონაწილეთა შორის არიან საელჩოებისა და მისიების მოსკოვში აკრედიტებული მეთაურები, უცხოელი სამხედრო და სამხედრო-საჰაერო ატაშეები, უცხოეთის სამხედრო-საავიაციო დელეგაციების წევრი გენერლები და ოფიცრები, რომლებიც მოწვეული არიან სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის დღესასწაულზე, საბჭოთა და უცხოეთის პრესისა და რადიოს მრავალი წარმომადგენელი.

სტუმრები დასეირნობენ პარკის ბილიკებზე, ისვენებენ ხეების ჩრდილში. ხან აქ, ხან იქ დაინახავთ გაცხოველებით მოსაუბრეთა ჯგუფებს. დიპლომატებს, დელეგაციის წევრებს ესაუბრებიან საბჭოთა მხედართუფროსები — საბჭოთა კავშირის მარშლები ი. ს. კონევი, რ. ი. მალინოვსკი, ი. ქ. ბაგრამიანი, ს. ს. ბირიუზოვი, ს. მ. ბუდიონი.

იმართება საუბრები, — ალბათ მეტად საინტერესო მოსაუბრეებისათვის, — უცხოეთის სამხედრო-საავიაციო დელეგაციების წევრებსა და ავიაციის მარშლებს ს. ი. რუდენკოს, ვ. ა. სუდეცს, ნ. ს. სკრიპკოს, კ. ა. ვერშინინსა და ს. ფ. ავაორონკოვს შორის. ბაღში მოსაუბრეთა შორის ძნელი არ არის იცნოთ ცნობილი საბჭოთა ავიაკონსტრუქტორები ა. ნ. ტუპოლევი, ა. ი. მიქოიანი, ო. კ. ანტონოვი, ს. კ. ტუმანსკი, ა. მ. ლიულკა.

დამსწრეთა გაცხოველებულ მხიარულებას უეცრად აღღვევს შხაპუნა წვიმა. ბაღში მყოფნი ტოვებენ ხეივნებს და თავს აფარებენ საბჭოთა ავიაციის ცენტრალური სახლის სასტუმრო ოთახებს. აქ სტუმრებს ხვდებიან დარბაზობაზე მოსული ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ე. ა. ფურცევა.

დიდი ბრიტანეთის ავიაციის მინისტრი ნ. ბერჩი ნ. ს. ხრუშჩოვს აცნობს ინგლისელ ავიაკონსტრუქტორებს. აქვეა ცნობილი საბჭოთა ავიაკონსტრუქტორი სოციალისტური შრომის გმირი ა. ნ. ტუპოლევი.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ერთი სასტუმრო ოთახიდან მეორეში გადადიან. ისინი ყველგან მეგობრულად მიესალმებიან უცხოელ სტუმრებს. ნ. ა. ბულგანინს, ლ. მ. კაგანოვიჩს, გ. მ. მალენკოვს, ა. ი. მიქოიანს, ვ. მ. მოლოტოვს, მ. გ. პერვუხინს, მ. ზ. საბუროვს, ნ. ს. ხრუშჩოვს წარუდგენენ საფრანგეთის დელეგაციის წევრები. ყველა ყურადღებას აქცევს იმას, რომ ზოგიერთ მფრინავს საფრანგეთის სამხედრო ჯილდოებთან ერთად აქვს საბჭოთა კავშირის ორდენები და საბჭოთა კავშირის გმირთა ოქროს ვარსკვლავებიც კი. ესენი არიან საფრანგეთის პოლკ „ნორმანდიის“ მფრინავები, რომლებიც დიდი სამამულო ომის დღეებში საბჭოთა მეომრებთან ერთად იბრძოდნენ ჰიტლერელთა წინააღმდეგ. საბჭოთა ხელმძღვანელები მაგრად ართმევენ მათ ხელს, ხუმრობენ, ეკითხებიან, რუსული ენა ხომ არ დაგავიწყდათო. ამ საუბარში მონაწილეობას იღებენ საბჭოთა კავშირის გმირები მაიორი ანდრე და კაპიტანი დე ლა პუაპი, წითელი დროშის ორდენებისა და ალექსანდრე ნეველის ორდენის კავალრები, პოლკოვნიკები შარლი და დელფინო, მაიორი რისო. ფრანგი მფრინავები იგონებენ მეორე მსოფლიო ომის წლებს, უჩვენებენ პატარა ლენტებს, რომლებზეც აღნიშნულია მოწინააღმდეგის ჩამოგდებული თვითმფრინავების რიცხვი.

სტუმრებს იწვევენ გაჩირაღდნებულ წითელდროშოვან დარბაზში. აქ სადღესასწაულოდ არის გაწყობილი მაგიდები. სუფრას უსხდებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები. მათთან ერთად არიან იემენის მემკვიდრე პრინცი ემირი სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრი, დიდი ბრიტანეთის ავიაციის მინისტრი ნ. ბერჩი, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსი გენერალი ტუაინინგი, საბჭოთა კავშირის მარშლები.

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა, როცა საბჭოთა კავშირის მარშალმა გ. კ. ჟუკოვმა შეკრებილთ მიმართა სიტყვით, რომელიც დიდი ყურადღებით მოისმინეს.

— ძვირფასო ამხანაგებო და პატივცემულო სტუმრებო, — ამბობს მარშალი ჟუკოვი.

ჩვენს ქვეყანაში დამყარდა ტრადიცია, რომლის მიხედვით საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები ყოველ წელიწადს დღესასწაულობენ საჰაერო ფლოტის დღეს. დღეს მოსკოველებსა და ჩვენს სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ ენახათ საჰაერო პარადი, ჩვენი მფრინავების, პლანერისტების, პარაშუტისტების, მედესანტეების მუშაობა და საავიაციო ტექნიკა.

მინდა მადლობა გადავუხადო საჰაერო პარადის მონაწილეებს ფრენის ხელოვნების ათვისებაში გაწეული შრომისათვის, აგრეთვე გულითადი მადლობა გადავუხადო ჩვენს ავიაკონსტრუქტორებს, ინჟინრებს, საავიაციო მრეწველობის მუშა-მოსამსახურეებს, რომლებმაც შესანიშნავი საავიაციო ტექნიკა შექმნეს.

წელს ჩვენს საავიაციო დღესასწაულს 28 სახელმწიფოს წარმომადგენლები ესწრებიან. გულითადად მივესალმები ცხარე ამ დარბაზში პატივცემულ სტუმარს და საბჭოთა შეიარაღებული ძალების სახელით, [illegible] სურვილს მომავალშიც განაზოთ თქვენ როგორც [illegible] სტუმრები.

ასეთი შეხვედრები ხელს უწყობენ სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის კონტაქტების განვითარებას. კონტაქტების სარგებლობა ეჭვს გარეშეა. გამოცდილებამ ცხადყო, რომ პირადი კონტაქტები ურთიერთგაგების, ურთიერთობაში გაურკვევლობის აღკვეთის ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა, ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და სახელმწიფოთა შორის მეტი ნდობის დამყარებას.

ამ უკანასკნელ წლებში მიღწეულია უეჭველი წარმატებანი სახელმწიფოთა შორის ნდობის შემდგომ განვითარებასა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში. ეს წარმატებანი შეიძლებოდა კიდევ უფრო მეტი ყოფილიყო, ყველა სახელმწიფოს და პირველ რიგში დიდ სახელმწიფოთა მთავრობებს რომ გამოეჩინათ სრული მზადყოფნა შეამცირონ თავიანთი შეიარაღებული ძალები, მათ შორის მასობრივი განადგურების იარაღი, და ამ კეთილშობილური აქტით თავიდან აეცილებინათ კაცობრიობისათვის შიში მომავლის გამო, თავიანთი შვილებისა და მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლის გამო. რაც შეეხება საბჭოთა ადამიანებს, მათ სწამთ ეს ნათელი მომავალი.

საბჭოთა მთავრობა, ითვალისწინებს რა ამ კეთილშობილურ პრინციპებს, თანმიმდევრულად ახორციელებს რა მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, შეუპოვრად იბრძვის განიარაღების პრობლემის გადაჭრისათვის. საბჭოთა ადამიანებს გულწრფელად სურთ, რომ საბჭოთა მთავრობის ღონისძიებანი განიარაღების დარგში ობიექტურად და სწორად გაიგონ სხვა ქვეყნების მთავრობებმა და მხარი დაუჭირონ ამ ღონისძიებებს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის.

ჩვენს დარბაზობას ესწრება მრავალი სამხედრო მოღვაწე, მათ შორის ყველა დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელნი.

მე მგონია, რომ უმრავლესობის აზრს გამოვთქვამ, თუ ვიტყვი, რომ სამხედრო მოღვაწეებიც ხალხის ინტერესებით უნდა ცხოვრობდნენ და თავიანთი საქმიანობა იმას მოახმარონ, რომ ბოლო მოუღონ გამალებულ შეიარაღებას, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება ხალხს, ქვეყნის ბიუჯეტს. ჩვენ, სამხედროები, მოვალენი ვართ ანგარიში გავუწიოთ იმას, რომ ახლა შეიარაღებისა და ბრძოლის ტექნიკურ საშუალებათა განვითარების დინამიკურობა წარმოუდგენელად დიდია. დღეევანდელი დღის იარაღი და ტექნიკა ხვალ მოძველებული აღმოჩნდება, ხოლო მათ გაკეთებაზე დახარჯული სახალხო სახსრები ფუჭად გადაყრილი იქნება. მე მიმაჩნია, რომ სამხედრო მოღვაწეებს არ შეიძლება არ აინტერესებდეთ თავიანთი ხალხის ცხოვრების პირობები და მოვალენი არიან აქტიურად შეუწყონ ხელი განიარაღების პრობლემის გადაჭრას, ხალხთა შორის ხანგრძლივი მშვიდობისა და სახელმწიფოთა შორის სრული ნდობის დამყარებას.

ამ ჭიქით ვადღეგრძელებ ჩვენს პატივცემულ სტუმრებს, საჰაერო პარადის მონაწილეებს, ყველა აქ დამსწრეს, ხალხთა მეგობრობას!

* * *

წვიმამ გადაიღო. გრილი ჰაერი შემოიჭრა ფანჯრებში. ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა პარკში გასეირნება შესთავაზა გენერალ ტუაინინგსა და სხვა სტუმრებს. ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, დიპლომატები, სამხედრო-საავიაციო დელეგაციათა წევრები წავიდნენ ბაღის შუაგულში მდებარე ტბისაკენ. ნავმისადგომთან ნავებია, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი სთხოვს სტუმრებს, გავისეირნოთო. ერთ-ერთ ნავში ჩასხდნენ საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში მორის დეჟანი და დიდი ბრიტანეთის ელჩის მეუღლე ლედი ჰეიტერი.

გავიდა რამდენიმე წუთი და ნავმისაბმელიდან წავიდა ახალი ნავი. შიგ არის დიდი ბრიტანეთის ავიაციის მინისტრი ნ. ბერჩი, ხოლო ნიჩბებთან ნ. ა. ბულგანინი.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები კვლავ სეირნობენ ბაღში. მალე ისინი დასხდნენ დაწნულ სავარძლებზე ხშირი ხეების ჩრდილში. კვლავ მეგობრული გაცხოველებული საუბარი, რომელშიც მონაწილეობენ გენერალი ტუაინინგი, მინისტრი ნ. ბერჩი, გენერალი ბაიი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ჩ. ბოლენი, დიდი ბრიტანეთის ელჩი უ. ჰეიტერი, საფრანგეთის ელჩი მ. დეჟანი.

როგორც სტუმრები ერთსულოვნად აცხადებენ, საჰაერო პარადმა ჩინეთი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. გენერალმა ტუაინინგმა აღნიშნა დიდი ორგანიზებულობა, რომლითაც მოეწყო პარადი თავიდან ბოლომდე. ინგლისის დელეგაციის მეთაურმა ნ. ბერჩმა აღტაცება გამოთქვა პარადის სიმძლავრის გამო. ცუდი ამინდის მიუხედავად, განაცხადა მან, ჩინებულად უჩვენეს ინდივიდუალური და ჯგუფური პილოტაჟი რეაქტიული თვითმფრინავ-გამანადგურებლებით. ინგლისის დელეგაციის წევრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვერტმფრინავთა ფრენამ და იქიდან დესანტის გადმოსხმამ.

საკდესის კორესპონდენტის შეკითხვაზე ინდოეთის დელეგაციის მეთაურმა დ. სინგჰმა უპასუხა: მე იმდენი შთაბეჭდილება მაქვს, რომ მეძნელება რამე გამოვყო. „ყველაფერი შესანიშნავი იყო“, — დასძინა დ. სინგჰმა. საფრანგეთის დელეგაციის მეთაურმა გენერალმა ბაიიმ ხაზგასმით აღნიშნა განსაცვიფრებელი სიზუსტე, რომლითაც შესრულდა პროგრამის ყველა ნომერი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენელმა გენერალ-პოლკოვნიკმა ლუ ია-ლოუმ აღტაცებით ილაპარაკა ყოველივე იმაზე, რაც ტუშინოს აეროდრომზე ნახა. გენერალმა აღნიშნა ჯგუფური პილოტაჟი რეაქტიული თვითმფრინავებით და სპორტული მანქანების შვიდეულის გაფრენა, რომლებსაც მფრინავი ქალები მართავდნენ. ჩვენ, ჩინელი სამხედროელები, განაცხადა გენერალმა ლუ ია-ლოუმ, ვამაყობთ, რომ ჩვენს მეგობრებს ასეთი საუცხოო ავიაცია აქვთ. ჩვენ, უეჭველია, ბევრი რამ შევიძინეთ.

საბჭოთა ხელმძღვანელებს, უცხოელ დიპლომატებს, მთელ რიგ დელეგაციათა ხელმძღვანელებს შორის გრძელდება გულითადი საუბარი. სადღეგრძელოები წარმოთქვეს ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა. გამარჯვება უსურვეს ხალხთა მეგობრობას, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის ხალხებს, ამ ქვეყნების სამხედრო მოღვაწეებს. ნ. ა. ბულგანინი ამბობს, რომ ამ უკანასკნელ ხანს მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში. ეს წარმატებანი კიდევ უფრო საგრძნობი იქნებოდა, ყველა დიდ სახელმწიფოს რომ მიეცა საბჭოთა კავშირის მაგალითისათვის და შეემცირებინა თავისი შეიარაღებული ძალები. ეს უნდა გაკეთდეს ომის საშინელებისაგან კაცობრიობის სახსნელად.

გამოდიან დიდი ბრიტანეთის ავიაციის მინისტრი ნ. ბერჩი, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსი გენერალი ტუაინინგი, საფრანგეთის დელეგაციის მეთაური გენერალი ბაიი. ისინი უზიარებენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის დღესასწაულის შესახებ, ეთანხმებიან საბჭოთა ხელმძღვანელებს, რომ საჭიროა განამტკიცონ ურთიერთ მეგობრობა.

ნ. ს. ხრუშჩოვი წარმოთქვამს დიდი ჩინელი ხალხის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სადღეგრძელოს, ხოლო ა. ი. მიქოიანი — ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, კორეის, მონღოლეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, იუგოსლავიის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, ეგვიპტის, სირიის, ინდოეთის, ბირმისა და მრავალი სხვა სახელმწიფოს ხალხების, ყველა აქ მყოფი სტუმრის სადღეგრძელოს.

დარბაზობა დამთავრდა.

ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ე. ა. ფურცევა გულითადად ეთხოვებიან სტუმრებს. ისინი ერთმანეთს უსურვებენ ჯანმრთელობას. მარშალი გ. კ. ჟუკოვი მიაცილებს დარბაზობის მონაწილეებს, რომლებიც მადლობას უხდიან მას სტუმართმოყვარეობისათვის.

დიდი გულთბილობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღისადმი საბჭოთა ხალხის დღესასწაულისადმი მიძღვნილმა დარბაზობამ. (საკდესი).

უცხოეთის სამხედრო-საავიაციო დელეგაციები სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის დღესასწაულზე

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მოწვევით 23 ივნისს სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის დღესასწაულზე მოსკოვში ჩამოვიდნენ უცხოეთის სამხედრო-საავიაციო დელეგაციები.

ვნუკოვოს აეროდრომზე დაეშვა ინგლისის რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავი „კომეტა“, რომლითაც ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთის დელეგაცია ავიაციის მინისტრის ნ. ბერჩის მეთაურობით.

ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოფრინდნენ სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსი გენერალი ტუაინინგი და მისი თანმხლები გენერლები.

დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-

სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი

მოსკოვში 19-დან 23 ივნისამდე მიმდინარეობდა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი. თათბირში მონაწილეობას იღებდნენ: ყველა სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, საცდელი სადგურისა და უმაღლესი სასწავლებლის დირექტორები, გამოჩენილი მეცნიერები, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, მოწინავე კოლმეურნეობების, სბკ-თა მეურნეობებისა და მტს-ების ხელმძღვანელები — სულ ორი ათასზე მეტი კაცი.

თათბირზე ჩამოვიდნენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მოღვაწეები.

მოხსენება „სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების ამოცანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში“ გააკეთა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ვ. ვ. მატცევიჩმა.

— ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში დაიწყო მძლავრი მოძრაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შიერ დასახული ამოცანების ვადამდე შესრულებისათვის, — ამბობს მომხსენებელი. — პარტიამ ყველა პირობა შექმნა სოფლის მეურნეობის ახალი სწრაფი ზრდისათვის. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ სოფლის მეურნეობა უკვე ავიდა უფრო მაღალ საფეხურზე, გადიდდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საერთო მოსავალი და დამზადება, მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი.

საბჭოთა მეცნიერებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში. მაგრამ ამ თათბირზე, ამბობს ამ. მატცევიჩი, ჩვენ უნდა განვიხილოთ აგრეთვე სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლიან მის შემდგომ განვითარებას.

ერთ-ერთი მთავარი ნაკლია სოფლის მეურნეობაში ბევრი გამოკვლევის თეორიული დონის ჩამორჩენა. ბიოლოგიურ და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დარგში ძალიან სუსტად იყენებენ კვლევის ახალ მეთოდიკას, რომელსაც საფუძვლად უდევს ზუსტ მეცნიერებათა თანამედროვე წარმატებები.

საშუალოდ, ჯერ კიდევ არის ყოყოჩობის ელემენტები მუშაობაში. ზოგიერთი მეცნიერი მუშაკი კარგად არ სწავლობს არც სამამულო, არც უცხოეთის ლიტერატურას საყვლევ საკითხებზე, არც სოციალისტური მიწათმოქმედების პრაქტიკას.

ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებანი, ამბობს ამ. მატცევიჩი, ჯერჯერობით არ იძლევიან პასუხს მთელ რიგ კითხვებზე, რომლებსაც პრაქტიკა აყენებს. მაგალითად, ჩვენი ქვეყნის ბევრი რაიონისათვის არი გვაქვს სამნლიან მაღალპროდუქტიული ჰიბრიდული თესლი; დამუშავებული არ არის საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის ბევრი საკითხი; არ არის მანქანები, რომლებიც ფრიად საჭიროა შრომის ხარჯვის შემდგომი შემცირებისათვის.

სოფლის მეურნეობის წინაშე მომავალ ხუთწლედში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დგას. ამასთან დაკავშირებით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ გადაწყვიტეს თავი მოუყარონ ყველა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებას, სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებს, საცდელ სადგურებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში.

დასასრულ ამბ. მატცევიჩი შეეხო სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და მეცნიერების და მოწინავე გამოცდილების მიღწევების პროპაგანდის საკითხებს.

უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამბ. სპივაკი თავის სიტყვაში შეჩერდა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების ბირველხარისხოვან ამოცანაზე — ჩვენი ქვეყნის თვითეული ზონისათვის უაღრესად მოკლე ხანში მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შემუშავების საკითხზე. ამ მიმართულებით საინტერესო ცდა მოაწყო უკრაინის სს რესპუბლიკამ. რესპუბლიკაში არის ექვსი ზონა, რომლებიც განსაკუთრებით განსხვავდებიან თავიანთი ბუნებრივი პირობებით. თვითეული ზონისათვის სამეცნიერო დაწესებულებებმა შეიმუშავეს ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ბიადგის ნაყოფიერების გაუმჯობესებას, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდას.

ყაზახეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამბ. ზაბეკანსკიმ განაცხადა, რომ რესპუბლიკაში ორ წელიწადში ათვისებულია 18 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნახევენი მიწა ახლა ნათესი ფართობი რესპუბლიკაში აღწევს 27,5 მილიონ ჰექტარს ნაცვლად 1953 წლის 9,7 მილიონი ჰექტარისა. ყაზახეთის მინდვრებში კარგი მოსავალი მოდის.

ამბ. ზაბეკანსკი ლაპარაკობს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების განვითარებაზე. სულ ორ ათეულ წელიწადზე ცოტა მეტი ხნის წინათ აქ არც ერთი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი არ ყოფილა. ახლა მუშაობს ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის ცილილი, შვიდი სამეცნიერო და სამი სასწავლო ინსტიტუტი, ათობით საცდელი სადგური, მინდვრები და დასაყრელი პუნქტები.

თათბირი გულთბილად შეხვდა კურგანის ოლქის დალმატოვკის ჯიშთა გამოცდის ნაკვეთის აგრონომის ამბ. ვორონოვას გამოსვლას. ნინ ილაპარაკა იმიერუერალის სუსხიან პირობებში სითბოს მოყვარული კულტურების უხვი მოსავლის მოყვანის ცდებზე, ჯიშთა გამოცდის ნაკვეთზე შეიმუშავეს პამიდორის თესლის ცვალებადი ტემპერატურებით წრთობის მეთოდი, რომლითაც შესაძლებელი გახდა, რომ პამიდორის ჩითილი გრუნტში დაირგოს ოცი დღით ადრე და ძირზე მიიღონ 80-100 პროცენტი მწიფე ნაყოფი. ამგვარადვე მოჰყავთ აქ საზამთრო. სარგებლობს რა თესლის წრთობის მეთოდით, ჯიშთა გამოცდის ნაკვეთს უკვე ორი წელია სიმინდის თესლის კარგი მოსავალი მოჰყავს.

ხარკოვის ზოოტექნიკური ინსტიტუტის პროფესორმა ამბ. პოტიომკინმა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მუშაკთა ყურადღება მიიქცია იმას, რომ მეცხოველეობაში საჭიროა მკვეთრად გაუმჯობესდეს საჯიშე საქმე.

ტრიბუნაზეა ამბ. ლობანოვი — ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის პრეზიდენტი. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც გადაუდებელ გადაჭრას მოითხოვს, თქვა მან, არის სოფლის მეურნეობის გაძღოლის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შემუშავება ჩვენი ქვეყნის ძირითადი ბუნებრივ-ეკონომიური ზონების მიხედვით.

მემცენარეობის სრულიად საკავშირო ინსტიტუტის დირექტორმა ამბ. უუკოვსკიმ ილაპარაკა საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ახალი ძვირფასი ჯიშების მცენარეებით გამდიდრების შესახებ.

აგროფიზიკური ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ოიფემ თავისი სიტყვა მიუძღვნა ფიზიკის როლს სოფლის მეურნეობაში. ყველასთვის ცხადია, ამბობს იგი, რომ ისეთ ფიზიკურ ფაქტორს, როგორიც არის შუქის რაოდენობა და ხარისხი, ნიადაგსა და მცენარეებში სითბოს, ტენისა და მარილების დაგროვება და მოძრაობა, ისეთივე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უხვი მოსავლის მიღებაში, როგორც სასუქს, მიკროფლორასა და სელექციას. თანამედროვე ფიზიკის მიღწევებიგზას უხსნიან ამ ფაქტორებზე აქტიურ ზემოქმედებას და მათს ცვლილებას.

ბელორუსიის მეცნიერებმა, ამბობს ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი ამბ. ლუპინოვიჩი, მთელი რიგი ძვირფასი შედეგები მიიღეს რესპუბლიკის ნიადაგის საფარის შესწავლისა და ნიადაგის რუკების შედგენის, სასუქების, მელიორაციის სისტემის, ჭაობებისა და დაჭაობებული ნიადაგების ათვისების დარგში და სხვ. მაგრამ მეცნიერულ გამოკვლევებს სუსტად იყენებენ წარმოებაში.

სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამბ. დავთიანმა თავისი სიტყვა მიუძღვნა მეცნიერებისა და პრაქტიკის ურთიერთობის განმტკიცების საკითხებს.

ციმბირის მეცხოველეობის ინსტიტუტის დირექტორი ამბ. სიმონი ამბობს, რომ ციმბირელმა მეცნიერებმა უდიდესი მასშტაბის გამოკვლევები უნდა განახორციელონ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში სოფლის მეურნეობის სწრაფ განვითარებასთან დაკავშირებით.

ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის ნამდვილმა წევრმა ამბ. იაკუშკინმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო დაწესებულებათა ნაკლოვანებების კრიტიკას. ამ ნაკლოვანებათა შორის ყველაზე სერიოზულია ის, რომ ცდებს მეტწილად აწარმოებენ პატარა ნაკვეთებზე. რასაც შედეგად მოსდევს მეცნიერების მოწყვეტა წარმოებისაგან.

მოსკოვის ოლქის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ბოლშევიკის“ თავმჯდომარემ ამბ. მურომსკიმ ილაპარაკა, თუ როგორ შემოიღეს კოლმეურნეებმა სწორი თესლბრუნვები სამეცნიერო დაწესებულებათა დახმარებით.

ესტონეთის სამეცნიერო დაწესებულებანი, ამბობს აკადემიკოსი ეიხფელდი, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ეხმარებიან იმაში, რომ შექმნან საკუთარი საკვები ბაზა, აღმოიფხვრან შემოტანილი კონცენტრატების საჭიროება.

შადრინსკის საცდელი სადგურის დირექტორმა ამბ. მალცევმა ილაპარაკა, თუ რა იარაღები შეიმუშავა ამ უკანასკნელ ხანს საცდელმა სადგურმა ახალი სისტემით ნიადაგის დასამუშავებლად, და სურვილი გამოთქვა, რომ იმიერურალის სოფლის მეურნეობა უზრუნველყონ ამ ზონისათვის გამოსადეგი მთელი რიგი მანქანებით. სამწუხაროდ, განაცხადა ამბ. მალცევმა, მრეწველობა დამაკმაყოფილებლად ვერ ასრულებს დაკვეთებს ახალ მანქანებზე.

ახრენბაიჯანის მეცნიმეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ამბ. ორუჯევმა ილაპარაკა ბამბის წარმოების გადიდების დაუშრეტელ შესაძლებლობებზე, ამ კულტურის მოყვანის იმ პროგრესული ხერხების ფართოდ გამოყენებაზე, რომლებიც შექმნა მეცნიერებამ და მიწინავე პრაქტიკამ.

თათბირის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ა. კლეჩკას გამოსვლას. მან ჩეხოსლოვაკიის მეცნიერთა სალამი გადასცა თათბირს.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მუშაკთა სახელით გულითადი სალამი გადასცა თათბირის მონაწილეებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ლი ენ ს�ამ.

თათბირის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს სტავროპოლის მხარის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარის ამბ. ლისკინის ნაამბობი, თუ რა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია მთელ ჩვენს ქვეყანაში ცნობილმა ამ მეურნეობამ, სადაც წლითიწლობით დიდდება მარცვლეულის. რძის, ხორცის, მატყლის და სხვა პროდუქტების წარმოება. ამბ. ლისკინი ამბობს, რომ კოლმეურნეობები იქცევიან უდიდეს მეურნეობებად, ამიტომ კიდევ უფრო ძლიერდება სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების როლი. ამბ. ლისკინი მადლობით იხსენიებს მეცნიერებს ამბ. ლუკიანენკოსა და პუსტოვოიტს, რომლებმაც თავიანთი სასელექციო მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირეს საკოლმეურნეო წარმოებას. მათი გამოყვანილი უხვმოსავლიანი ჯიშის ხორბალი და უხვზეთიანი მზესუმზირას ნათესები მარტო წელს მისცემენ საშუალებას კოლმეურნეობას სულ ცოტა ოთხი მილიონი მანეთის პროდუქცია მიიღოს დამატებით.

თათბირზე გამოვიდნენ აგრეთვე შაქრის ჭარხლის ინსტიტუტის დირექტორი ბუზანოვი, შორეული აღმოსავლეთის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ამბ. ნოვაკი, მოლდავეთის სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურის დირექტორი ამბ. ლიუბჩენკო, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების სამმართველოს უფროსი ამბ. ბადრიშვილი, პროფესორი მილოვანოვი, რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების სამმართველოს უფროსი ამბ. ტრეტიაკოვი, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ამბ. ტულუბინოკოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ვ. დოკუჩაევის სახელობის ნიადაგის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ტიურინი.

საბოლოო სხდომაზე, რომელიც 23 ივნისს გაიმართა კრემლის დიდ სასახლეში, მოსმენილ იქნა მოხსენებანი სექციების მუშაობის შედეგების შესახებ, რომლებმაც განიხილეს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა 1956-1960 წლების პრობლემურ-თემატიკური გეგმები. 27 სექციის სხდომებზე გამოვიდა 700-ზე მეტი კაცი, რომლებმაც ბევრი დამატება და ცვლილება შეიტანეს გეგმებში.

სექციების მუშაობის შესახებ, რომლებიც განიხილავდნენ მიწათმოქმედებისა და მემცენარეობის საკითხებზე კვლევის გეგმებს, მოხსენება გააკეთა ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის ნამდვილმა წევრმა ამბ. ოლშანსკიმ. სექციებმა განიხილეს ცალკეულ ბუნებრივ-ეკონომიური ზონებში მეურნეობის წარმოების სისტემის მეცნიერული დამუშავების საკითხები. გეგმები ითვალისწინებენ უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის აგროტექნიკას; ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს; სასუქების რაც შეიძლება ეფექტიანი გამოყენებისა და ისეთი მანქანების სწრაფად შექმნის საკითხებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სასუქების დამზადებისა და გამოყენების ყველა პროცესს; განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სარეველებთან, მცენარეთა მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის ქიმიური ხერხების კომპლექსის შექმნას.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამბ. კუჩუმოვმა ილაპარაკა საველიერო დაწესებულებათა მუშაობის მთავარ მიმართულებებზე მიწათმოქმედების და მეცხოველეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის, ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის დარგში. კვლევის მიზანი იქნება უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეობაში მექანიზებული საწარმო პროცესების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის მეცნიერული საფუძვლების შემუშავება. ამ მიზნის მანქანების სისტემა სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაციის დასამთავრებლად.

კვლევის მოპოვების დარგში უნდა გაუმჯობესდეს თიბის ადების პროცესები წნეტის, დაზვინვისა და ტრანსპორტირების გამოყენებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ტექნოლოგიისა და მექანიზაციის საშუალებათა შემუშავებას ნაღალბარისხოვანი ვიტამინიანი თივის მისაღებად.

ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის განვითარებაში უახლოეს წლებში ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დასახულია უახლესი ტექნიკის დანერგვა სამელიორაციო სისტემებისათვის და მაქსიმალური ავტომატიზაცია.

მოხსენება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის სექციის მუშაობის შესახებ გააკეთა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ამბ. ტულუბინოკოვმა. მეცნიერული კვლევის გეგმა შეიცავს პროდუქციის წარმოების გადიდების, კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების, საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის განვითარებაში მტს-ების როლის გაძლიერების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების რენტაბელობის ამაღლების საკითხებს.

მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სექციების მუშაობის შესახებ თათბირს მოახსენა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის წევრმა ამბ. ისაულოვმა. მოიწონეს რა, ძირითადად, მეცხოველეობის სხვადასხვა დარგის მეცნიერული კვლევის გეგმები, სექციებმა შეიტანეს ამ გეგმებში არსებითი დამატებანი. აღინიშნა, რომ საჭიროა შემუშავდეს სრულფასოვანი და ეკონომიურად ყველაზე ეფექტიანი საკვების რაციონები და დაწესდეს პირუტყვისა და ფრინველის მოვლა-შენახვის საუკეთესო ზოოტექნიკური ნორმები.

გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საჯიშე საქმეს. გამოითქვა სურვილი ერთ ხელში გადავიდეს საჯიშე საქმის ხელმძღვანელობა.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამრეწველო მესაქონლეობის ორგანიზაციას და სახორცე ჯიშის პირუტყვის მოშენებას; ფელორობის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს რჩება მიეცათ მთავარი ყურადღება მიაქცინონ ღორის გასუქების ორგანიზაციასა და ტექნიკას.

პროფესორმა კლეჩკოვსკიმ თათბირს მოახსენა იზოტოპებისა და გამოსხივებათა სექციის მუშაობის შედეგები. სექციამ შეიმუშავა ამ დარგში მეცნიერული კვლევის გეგმა. ატომის ტექნიკის გამოყენება მეცნიერული კვლევის ახალ შესაძლებლობებს შექმნის სასუქების გამოყენების, ნიადაგის პროცესების შესწავლისა და მცენარეთა დაცვის, მეცხოველეობასა და ვეტერინარიაში იზოტოპებისა და გამოსხივებათა გამოყენების დარგში და სხვ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის ამბ. მატცევიჩის საბოლოო სიტყვის შემდეგ თათბირმა მუშაობა დაამთავრა. (საკდესი).

თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში მალანაყოფიერი შრომით თავი ისახელა კომკავშირელმა ხარატმა რ. ბუხნიკაშვილმა, რომელიც საწარმოო დავალებას სისტემატურად 180-200 პროცენტით ასრულებს. სურათზე: რ. ბუხნიკაშვილი მუშაობის დროს.

ფოტო შ. გოკაძისა.

ნახევარი მილიონი მანეთის პროდუქცია გეგმის გაღამეჯებით

სამტრედია. (სპეც. კორ.). მრავალი მომხმარებელი ჰყავს სამტრედიის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მიერ გამოშვებულ ავეჯს. აქ შარშან მარტში მოაწყეს სპეციალური საამქრო, სადაც ამზადებენ ახალი მოდელის კარადებს, მაგიდებს, საწოლებს და სხვ.

მანქანა-დანადგარების სრული დატვირთვით გამოყენების შედეგად შარშან საავეჯო საამქრომ (გამგე ინჟინერი ამბ. ა. ჩიქოვანი) სახელმწიფოს ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი მოგება მისცა. წელს საამქრომ პროდუქციის გამოშვების მეორე კვარტალის გეგმა ვადაზე 25 დღით ადრე 118 პროცენტით შეასრულა.

საავეჯო საამქროში ზეინკლების ვ. ბოხუას და მ. შევცოვის წინადადებით მოეწყო ხე-ტყის საშრობი კამერები, საიდანაც საავეჯო საამქრო მექანიზებული წესით შეუფერხებლად იღებს მშრალ, ხარისხოვან ხის მასალას.

სამტრედიის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის კოლექტივი, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ცხაკაიას რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატთან, მთელი ენერგიით მუშაობს იმისათვის, რომ წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვას ნახევარი მილიონი მანეთის პროდუქცია.

ჟანგბადის ახალი ქარხანა

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქის საწარმოებს დიდი რაოდენობით ესაჭიროებათ ჟანგბადი. იგი შორეული ქალაქებიდან შემოჰქონდათ, რაც ზედმეტ ხარჯებს იწვევდა.

ამ დღეებში აქ დამთავრდა ჟანგბადის ქარხნის მშენებლობა-მონტაჟი. იგი აღჭურვილია თანამედროვე საბჭოთა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. აქ ძირითადი პროცესები ავტომატიზებულია. ქარხანა დაკომპლექტებულია ადგილობრივი კადრებით, რომლებმაც პრაქტიკული გამოცდილება ჩვენი რესპუბლიკის ქარხნებში შეიძინეს.

ქარხნის მშენებლობა მილიონ მანეთამდე დაჯდა. იგი უკვე აწვდის ჟანგბადს სამრეწველო საწარმოებსა და სამედიცინო დაწესებულებებს.

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებში შრომითს რესურსებს სრულად — ეფექტიანად — ეკონომიურად — ეფექტურად — ეფექტიანად — ეფექტურად — ეფექტიანად — ეფექტურად — ეფექტიან

საბჭოთა კავშირიდან გაემგზავრა იემენის მემკვიდრე პრინცი ემირი სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრი

საბჭოთა კავშირში ორი კვირის ყოფნის შემდეგ 25 ივნისს მოსკოვიდან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაემგზავრნენ იემენის მემკვიდრე პრინცი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ემირი სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრი და მისი თანმხლები პირნი.

მემკვიდრე პრინცის გასაცილებლად დედაქალაქის ცენტრალურ აეროდრომზე მოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. გ. პერვუხინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ა. იბრაჰიმოვი და სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე მოსკოვში აკრედიტებულ საელჩოთა და მისიათა მეთაურები. შესრულებულ იქნა იემენისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

მემკვიდრე პრინცმა ემირმა სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრმა მოკლე განცხადება გააკეთა მიკროფონთან.

ბუქარესტში ჩავიდა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო

ბუქარესტი, 24 ივნისი. (საკდესი). დიდი სიხარულით და გულწრფელი სტუმართმოყვარეობით შეხვდა დღეს რუმინეთის დედაქალაქი იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს იოსიპ ბროზ ტიტოსა და მის თანმხლებ პირებს, რომლებიც აქ ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მოწვევით.

ქალაქი სადღესასწაულოდაა მორთული. ქუჩებში და მოედნებზე, შენობების ფასადებზე გამოფენილია იუგოსლავიისა და რუმინეთის სახელმწიფო ალმები, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელთა პორტრეტები. წითელ ქსოვილებზე სეიფულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრი და მისი თანმხლები პირნი.

მემკვიდრე პრინცის გასაცილებლად დედაქალაქის ცენტრალურ აეროდრომზე მოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. გ. პერვუხინი, სსრ კავშირის სი მეუღლე, ედვარდ კარდელი, კ. პოპოვიჩი, მ. ტოდოროვიჩი, ი. ბლაჟევიჩი და იუგოსლავიის დელეგაციის სხვა წევრები, რომლებსაც მხურვალე ტაშით ხვდებიან.

რუმინეთის მუშათა პარტიისა და რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელები მეგობრულად ეორმეევენ ხელს ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოსა და მის თანამგზავრებს.

სპპატიო ყარაულის უფროსი პატაკს აძლევს პრეზიდენტს. ორკესტრი ასრულებს იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნებს. ამხანაგმა ტატომ და კივუ სტოიკამ ჩამოუარეს სპპატიო ყარაულის ფრონტს.

ვაგზლის მოედანზე, რომელიც გაჭედილი იყო ბუქარესტის მცხოვრებლებით, გაიმართა მიტინგი. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით სტუმრებს მხურვალედ მიესალმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კივუ სტოიკა. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა იოსიპ ბროზ ტიტომ, რომელმაც გულთბილი მადლობა გადაუხადა ბუქარესტის მშრომელებს გულითადი მიღებისათვის და გამარჯვება უსურვა იუგოსლავიისა და რუმინეთის მეგობრობასა და თანამშრომლობას, მთელი მსოფლიოს მშვიდობას. ამხანაგებს კივუ სტოიკასა და იოსიპ ბროზ ტიტოს არაერთხელ შეაწყვეტინეს სიტყვა მქუხარე ტაშით. რუმინეთის დედაქალაქის ათიათასობით მცხოვრები მხურვალედ მიესალმებოდა იუგოსლავ სტუმრებს მთელ გზაზე მათთვის მიჩენილ რეზიდენციამდე.

რუმინეთში იუგოსლავიის მთავრობის დელეგაციის ჩამოსვლის გამო ცენტრალურმა გაზეთებმა პირველ გვერდზე მოათავსეს ამხანაგ ტიტოს პორტრეტი და მისი ბიოგრაფია, გამოაქვეყნეს მიწერილი სტატიები თემაზე ორივე ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი ბუქარესტში

ბუქარესტი, 24 ივნისი. (საკდესი). მალე ბუქარესტს ჩამოსვლის შემდეგ პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ გვირგვინით შეამკო ობელისკი რუმინელი გმირი მეომრებისა, რომლებიც დაღუპნენ ფაშისტთა უღლისაგან თავიანთი სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

გვირგვინთან შემკობის ცერემონიას დაესწრნენ რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გეორგიუ-დეჟი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კივუ სტოიკა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები.

დღის მეორე ნახევარში დაიწყო რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ოფიციალური მოლაპარაკება.

საღამოს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ დარბაზობა გამართეს იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის პატივსაცემად.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი სირიაში ჩავიდა

დამასკო, 23 ივნისი. (საკდესი). გუშინ სირიის მთავრობის მოწვევით კაიროდან დამასკოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი. მასთან ერთად დამასკოში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგე გ. ტ. ზაიცევი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები ი. პ. პლიშევსკი და ფ. ი. ვიდიასოვი.

დამასკოს აეროდრომზე დ. ტ. შეპილოვსა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ სირიის საგარეო საქმეთა მინისტრი სალაჰ ედ-დინ ბიტარი, პრეზიდენტის კანცელარიის გენერალური მდივანი ფუად ჰალაბი, სირიის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე რაფიკ ბაშური, პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე იხსან ჯაბირი, სირიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი სამაჰ თარაზი, ქალაქ დამასკოს მერი დიაბი, სირიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ვალიდ მაჯიდი, პარლამენტის დეპუტატები და სირიის სხვა ოფიციალური პირები.

დ. ტ. შეპილოვს შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი სირიაში ს. ს. ნემჩინა და საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები, უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან დამასკოში, სირიის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალი წარმომადგენელი, აგრეთვე ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტები.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის შესახვედრად აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. სამხედრო ორკესტრმა შეასრულა საბჭოთა კავშირის ჰიმნი და სირიის რესპუბლიკის ჰიმნი.

სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სალაჰ ედ-დინ ბიტარმა დ. ტ. შეპილოვს მიმართა და თქვა, რომ ძლიერ მოხარულია სირიის მთავრობის სახელით მიესალმოს სირიის მიწაზე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს. სირია, ხაზგასმით აღნიშნა ბიტარმა, აზორეულებს ბანდუნგის კონფერენციის მიერ შემუშავებულ საგარეო პოლიტიკის პრინციპებს, რომლებიც, როგორც ცნობილია, მოიწონა საბჭოთა კავშირმა. სირია დგას მშვიდობიანი თანაარსებობის პოზიციაზე და იბრძვის თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის შეპილოვის ჩამოსვლა, აღნიშნა ბიტარმა, ხელს შეუწყობს მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას, რაც ესოდენ ბედნიერად არსებობს სირიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

საპასუხო სიტყვაში დ. ტ. შეპილოვმა თქვა:

ძვირფასო მეგობრებო! დღეს, როცა ჩვენ ჩამოვედით სირიის რესპუბლიკის დედაქალაქში—დამასკოში, რომელზეც ბევრი რამ გვსმენია როგორც აღმოსავლეთის მარგალიტზე, ნება მიბოძეთ საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა ხალხის, აგრეთვე პირადად ჩემი სახელით გულწრფელი პატივისცემის, გულითადი მეგობრობის გრძნობები და საუკეთესო სურვილები გადაცეს სირიის მთავრობასა და თავისუფლებისმოყვარე სირიელ ხალხს, რომელიც წარმატებით აშენებს თავის დამოუკიდებელ სახელმწიფოს და ავითარებს თავის ეროვნულ ეკონომიკას. მე მსურს გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ იმისათვის, რომ შესაძლებლობა მომეცა ჩამოვსულიყავი თქვენს მშვენიერ ქვეყანაში, გავცნობოდი თქვენი ხალხის ცხოვრებას, სირიის სახელმწიფოს ხელმძღვანელებთან დამემყარებინა პირადი კონტაქტი, რომელიც ურთიერთსასარგებლოა საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა შორის თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისათვის ერთობლივ ბრძოლაში.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა იმედი, რომ ჩვენი შეხვედრებისა და საუბრების შედეგი იქნება ჩვენს ქვეყნებს შორის ნდობისა და თანამშრომლობის გაფართოება და გაღრმავება. საბჭოთა კავშირსა და სირიას ყველა პირობა აქვთ, რომ მეგობრული ურთიერთობა განავითარონ სრული თანასწორობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თვითეული სახელმწიფოს თავისებურებათა უსათუოდ გათვალისწინებისა და ორივე ქვეყნის ინტერესების ურთიერთ პატივისცემის საფუძველზე. ეჭვი არ არის, რომ მეგობრობა და თანამშრომლობა სირიის რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის სამსახურს გაუწევს ჩვენს ხალხებს, მშვიდობის საქმეს.

სალაჰ ედ-დინ ბიტარისა და დ. ტ. შეპილოვის სიტყვები დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და მქუხარე ტაშით შეხვდნენ. შემდეგ დ. ტ. შეპილოვმა ინახულა პრეზიდენტის სასახლე და ხელი მოაწერა საპატიო სტუმრების წიგნში. პრეზიდენტის სასახლიდან დ. ტ. შეპილოვი და მისი თანმხლები პირები მათთვის გამოყოფილ რეზიდენციაში წავიდნენ.

შუახევის რაიონულ ცენტრში. სურათზე: სასტუმროს შენობა.

ფოტო შ. ბეჟანიშვილისა.

სპორტის ამბები

პრაღის საჭადრაკო ტურნირი

პრაღაში გრძელდება საჭადრაკო ტურნირი სსრ კავშირის, შვეიცის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების მოჭადრაკეთა მონაწილეობით. 14 ტურის შემდეგ წინ არის გროსმაისტერი რაგოზინი, რომელსაც 9,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. შტალბერგსა და ფლორს აქვთ რვანახევარ-რვანახევარი ქულა.

შეხვედრა რიგაზე

როგორც ვიუწყებოდით, ინგლისისა და სსრ კავშირის მოკრივეთა პირველი ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით ანგარიშით 17 : 13. მორიგ მატჩში ინგლისელი მოკრივეები შეხვდნენ საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრებ გუნდს. ეს შეხვედრა სსრ კავშირის სპორტსმენთა უპირატესობით მიმდინარეობდა და მთიანი გამარჯვებით დამთავრდა. სსრ კავშირისა და ინგლისელ მოკრივეთა ორი მატჩის შედეგია 23 :15 საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ.

საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში

მოსკოვი. 25 ივნისი. სპორტის ათეულ ათასობით მოყვარული ესწრებოდა მორიგ საერთაშორისო ამხანაგურ შეჯიბრებას ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ლიდერის მოსკოვის „სპარტაკისა“ და „იტლეტიკა პორტუგეზას“ (ბრაზილია) გუნდებს შორის.

მატჩი, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით ანგარიშით 5:2.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასი

სვერდლოვსკი. 24 ივნისი. აქ გაიმართა სსრ კავშირის XVIII ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ დედაქალაქის „ტორპედოსა“ და სვერდლოვსკის ოფიცერთა სახლის გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 2 : 2.

„ბ“ კლასი

24 ივნისს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგა „ბ“ კლასის მეორე ზონის გუნდების შეჯიბრება ფეხბურთში. გათამაშების ლიდერი თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი შეხვდა აშხაბადის „კოლხოზჩის“. პირველი ტაიმი დამთავრდა არმიელ ფეხბურთელთა სასარგებლოდ 5 : 0. შეჯიბრების მეორე ნახევარში მასპინძლებმა მოწინააღმდეგის კარში დამატებით 5 ბურთი გაიტანეს, თავიანთ კარში მხოლოდ 1 ბურთი მიიღეს და მოიგეს მატჩი ანგარიშით 10 : 1.

ამრიგად, თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდს 16 თამაშის 32 შესაძლებლიდან ბურთების შეფარდებით 48 : 9 შეგროვებული აქვს 26 ქულა და მტკიცედ იმყოფება პირველ ადგილზე.

სასწავლო წლის დამთავრებისადმი მიძღვნილი ზეიმი

კვირას დილიდანვე მრავალმა ახალგაზრდამ მოიყარა თავი სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, რომელიც ამ დღეს განსაკუთრებით მოერთოთ. ხეივნის შესასვლელშივე გაკრული დიდი წარწერა იუწყებოდა, რომ აქ გაიმართება თბილისის კალინინის რაიონის უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და საშუალო სკოლების ახალგაზრდობის ზეიმი, მიძღვნილი 1955-1956 სასწავლო წლის დამთავრებისადმი.

ყველგან გაისმოდა ახალგაზრდობის მხიარული ჟრიამული, ცეკვა, თამაში, სიმღერა.

დღის 12 საათიდან დაიწყო სპორტული შეჯიბრებანი. ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში ერთმანეთს შეხვდნენ თეატრალური ინსტიტუტის, გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის და 43-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები.

მრავალმა მაყურებელმა მოიყარა თავი ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებზე. აქ ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ რაიონის უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და საშუალო სკოლების მოსწავლეები. გაიმარჯვეს სკოლების ნაკრებმა გუნდებმა.

დაიწყო ადგილობრივი რადიოკვანძის ტრანსლაცია. მიკროფონთან არის საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ამხ. გ. ჯიბლაძე. იგი ულოცავს რაიონის ახალგაზრდობას სასწავლო წლის დამთავრებას და უსურვებს წარმატებებს შემდგომ სწავლაში, მუშაობაში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელით ახალგაზრდებს მიესალმა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გ. ძოწენიძე. სკოლებისა და პედაგოგიური კოლექტივების სახელით სიტყვა წარმოთქვა I საშუალო სკოლის დირექტორმა ნ. კიკვაძემ.

ახალგაზრდობიდან სიტყვას ამბობს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ნ. ფილიაშვილი.

საღამოს პარკის საზაფხულო თეატრში გაიმართა დიდი კონცერტი.

ძრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება რესპუბლიკის სოფლებში ზოგიერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ.

სოფლები ტაძრისი, დგვარი, საკირე გამოეყო ბორჯომის რაიონის დვირის სასოფლო საბჭოს და შეიქმნა ტაძრისის სასოფლო საბჭო.

სოფლები დიდი თხინალა და პატარა თხინალა გამოეყო ხაშურის რაიონის ღუდის სასოფლო საბჭოს და შეუერთდა იმავე რაიონის ხცისის სასოფლო საბჭოს.

დამტკიცდა წალეის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება წალკის რაიონის კაბურის სასოფლო საბჭოდან სოფელ თეკისის გამოყოფისა და იმავე რაიონის არჯევან-სარვანის სასოფლო საბჭოსთან მისი შეერთების შესახებ.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სტალინური პრემიის ლაურეატის, სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტის

დავით გამრეკელის

უკანასკნელი გასტროლები

ოთხშაბათს, 27 ივნისს

ზ. ფალიაშვილი

დაისი

შაბათს, 30 ივნისს

ზ. ფალიაშვილი

აბესალომ და ეთერი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრის შენობაში

(პლეხანოვის პროსპ. № 123)

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის წარმოდგენები

26 ივნისს

ნ. კანდელაკი

„მაია წყნეთელი“

მეფე ერეკლეს როლში ვ. გოძიაშვილი საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახალხო არტისტი, მაიას როლში ელენე ყიფშიძე.

27 ივნისს

რ. თაბუკაშვილი

„რას იტყვის ხალხი“

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ბილეთები იყიდება ფილარმონიის სალაროში.

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს

შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად:

კათედრის გამგე

1. პოლიტეკონომია — 1 განაკვ. პროფესორი ან დოცენტი; 2. მცენარეთა დაცვა — 0,5 განაკვ. — პროფესორი ან დოცენტი; 3. ჩაის ქიმია და ტექნოლოგია — 1 განაკვ. — პროფესორი ან დოცენტი;

კათედრის პროფესორი

1. ორგანული ქიმია — 0,5 განაკვ. — პროფესორი; 2. მცენარეთა ბიოქიმია — 0,5 განაკვ. — პროფესორი; 3. ფიზიკური ქიმია — 0,5 განაკვ. — პროფესორი; 4. ცხოველთა ფიზიოლოგია — 0,5 განაკვ. — პროფესორი; 5. მეცხოველეობა — 1,0 განაკვ. — პროფესორი; 6. ჩაის ტექნოლოგია — 0,5 განაკვ. — პროფესორი;

კათედრის დოცენტები

1. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები — 1,5 განაკვ. — დოცენტი ან მასწავლებელი; 2. პოლიტეკონომია — 2 დოცენტი ან მასწავლებელი; 3. სამრეწველო საწარმოთა ორგანიზაცია და დგეგმვა — 1 დოცენტი ან მასწავლებელი; 4. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა — 1 დოცენტი; 5. სასასმ. საწარმოთა ორგანიზაცია — 1 დოცენტი ან მასწავლებელი; 6. მათემატიკა და თეორიული მექანიკა — 0,5 განაკვ. — დოცენტი; 7. ფიზიკა (რუსული ენის ცოდნა აუცილებელია) — 0,5 განაკვ. — დოცენტი; 8. ელექტროტექნიკა — 1 დოცენტი ან უფროსი მასწავლებელი; 9. ძახვილობითი გეომეტრია — 0,5 განაკვ. — დოცენტი; 10. ზოგადი მიწათმოქმედება — 1 დოცენტი ან უფროსი მასწავლებელი; 11. ბოტანიკა (სისტემატიკა) — 1 დოცენტი (ვაკანტური); 12. სუბტროპიკული ზეგისტნეობა — 0,5 განაკვ. — დოცენტი (ვაკანტური); 13. მინდვრის კულტურები — 1 დოცენტი (ვაკანტური); 14. მცენარეთა ფიზიოლოგია — 1 პროფესორი ან დოცენტი; 15. მიკრობიოლოგია — 0,5 განაკვ. — დოცენტი; 16. მიწათმოქმედება და მემცენარეობა — 0,5 განაკვ. — დოცენტი; 17. გეოლოგია — 0,5 განაკვ. — დოცენტი; 18. ზოოლოგია — 0,5 განაკვ. — დოცენტი; 19. ფიტოპათოლოგია — 0,5 განაკვ. — დოცენტი; 20. პარკის პირველადი გადამუშავება და აბრეშუმმცოდნეობა — 1 დოცენტი (ვაკანტური); 21. გრენაჟი და ემბრიოლოგია — 0,5 განაკვ. — დოცენტი; 22. ჭიის ანატომია და ფიზიოლოგია — 1 დოცენტი; 23. ზეთუთუობა — 1 დოცენტი; 24. ჭიის დაავადებანი — 0,5 განაკვ. — დოცენტი; 25. ტექნიკური კულტურები — 1 დოცენტი; 26. მეჩაიეობა — 1 დოცენტი; 27. დარვინიზმი და სელექცია — 1 დოცენტი (ვაკანტური); 28. სასასმ. მანქანების თეორია და ანგარიში — 1 დოცენტი; 29. მანქანათანაწილები და ავტომატურსპორტო მანქანები — 1 დოცენტი ან უფრ. მასწავლ.; 30. თერმოდინამიკა — 0,5 განაკვ. — დოცენტი; 31. სპეც. მანქანები — 1 დოცენტი; 32. დაშვებები და ტექნიკური გაზომვები — 0,5 განაკვ. — დოცენტი; 33. ღვინის ტექნოლოგია და ღვინის ქიმია — 1 დოცენტი (ვაკანტური); 34. ძაფის თეორია და ანგარიში — 1 დოცენტი ან უფრ. მასწავლ.; 35. სუბტროპიკული ზეხილეობა — 1 დოცენტი; 36. აგროქიმია — 1 დოცენტი;

უფროსი მასწავლებელი

1. ინგლისური ენა — 0,5 განაკვ. — დოცენტი ან უფრ. მასწავლ.; 2. სასასმ. მანქანების თეორია და ანგარიში — 1 დოცენტი ან უფროსი მასწავლებელი (ვაკანტური); 3. თბოტექნიკა — 1 დოცენტი ან უფროსი მასწავლებელი; 4. ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტი — 1 დოცენტი ან უფროსი მასწავლებელი (ვაკანტური); 5. ჯიშთა მცოდნეობა — 0,5 განაკვ. — დოცენტი; 6. სამაღლო-სამპარკო არქიტექტურა — არქიტექტორი — 1 დოცენტი ან უფროსი მასწავლებელი;

ასისტენტი

1. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები — 1 ასისტენტი; 2. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა — 1 ასისტენტი (ვაკანტური); 3. მათემატიკური ანალიზები და თეორიული მექანიკა — 1 ასისტენტი; 4. ფიზიკა — 1 ასისტენტი; 5. ანალიზური ქიმია — 2.5 განაკვ. — ასისტენტი; 6. ფიზიკური ქიმია — 0.5 ასისტენტი; 7. ბოტანიკა — 1 ასისტენტი; 8. ნიადაგმცოდნეობა — 1 ასისტენტი; 9. აბრეშუმის ჭიის ეკოლოგია — 0,5 განაკვ. — ასისტენტი; 10. გრენაჟი — 1 ასისტენტი; 11. პარკის პირველადი გადამუშავება და აბრეშუმმცოდნეობა — 0,5 განაკვ. — ასისტენტი; 12. ტექნიკური კულტურები — 1 ასისტენტი; 13. სასოფლო-სამეურნეო მანქანების თეორია და ანგარიში — 1 ასისტენტი (ვაკანტური); 14. სპეც. მანქანები, პროცესები და აპარატურები — 1 ასისტენტი; 15. თერმოდინამიკა და თბოტექნიკა — 1 ასისტენტი; 16. ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტი — 1 ასისტენტი (ვაკანტური); 17. ხილბოსტნეულის ტექნოლოგია — 1 ასისტენტი (ვაკანტური); 18. ჩაის ქიმია — 1 ასისტენტი (ვაკანტური); 19. ღვინის ტექნოლოგია და ქიმია — 1 ასისტენტი (ვაკანტური); 20. ფანქანათა პარკის ექსპლატაცია — 1 ასისტენტი (ვაკანტური); 21. დეკორაციული მეყვავილეობა (ფერონომი) — 1 ასისტენტი (ვაკანტური);

იმ პირებმა, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ კონკურსში, განცხადება უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე და წერილობით აცნობონ იმ დაწესებულების ხელმძღვანელს, სადაც მუშაობენ. განცხადებას უნდა დაერთოს კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული პირი, სამეცნიერო წოდებასა და ხარისხში დამტკიცების სამუშაოების სათანადოდ შემოწმებული პირები, სამშობლო და პოლიტიკური დანასაიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან. სამეცნიერო შრომების სია და რეცენზიები მათ შესახებ.

კონკურსის ვადა 15 დღე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. ინსტიტუტის მისამართი: ქ. ქუთაისი, 1905 წლის რევოლუციის ქ. № 2.

დღეს

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — საქმიანი კაცი, **მარჯანიშვილის სახელობის** — მაია წყნეთელი, **გრიბოედოვის სახელობის (ჩრდილოეთ ოსეთის რუსული დრამის რესპუბლიკური თეატრის გასტროლები)** — დიდი ხელმწიფე.

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო), **სპარტაკი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი, ისანი** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის** (საზაფხულო) **და ვოროშილოვის სახელობის კლუბები** — სიყვარულის სინათლე, **კომკავშირელი, კოლხიდა** (საზამთრო), **კიროვის სახელობის პარკი, ოფიცერთა სახლი** — მკვლელობა დანტეს ქუჩაზე, **თბილისი, კომუნარების ბაღი** — ისინი ორნი იყვნენ, **ამირანი** (საზაფხულო), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზამთრო) — დაღუპული ცხოვრება.

მოქალაქე **კონსტანტინე მიხეილის-ძე დოლიძემ**, მცხოვრებმა ზოვრეთის ქ. № 21, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ **თამარ ალექსანდრეს ასულ ცხვედიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

დედა ოლღა, მეუღლე ანა, დები მანია, ეიონე, ძმები გიორგი, სტეფანე, ალექსანდრე, სიძე პ. კილატოვი, რძლები ნადია, მაშო, ნათელა შვილებით იუწყებიან

მიხეილ გრიგოლის-ძე ბერიეიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27-VI, 8 ს. გამოსვენება 28-VI, 5½ ს. რობესპიერის ქ. № 15-ა.

შვილები დიმიტრი, შაქრო, სოფიო, მარგალიტა, ანა, რძლები ანანა, მანანა ოჯახებით იუწყებიან

ნინო გეგენას ასულ მერებაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-VI დაბა წნორში.

მეუღლე ვარა, შვილები მაკრა, ლიანა, ძმა არჩილ, და ქრისტინე ოჯახებით იუწყებიან

აბრამ მალხაზის-ძე დვითაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-VI, 5 ს. გურჯაანში.

მეუღლე ნუნუ, შვილი სულიკო, ძმა ისიდორე, რძალი თამარ ნათესავებით იუწყებიან

დიმიდე ნიკოლოზის-ძე ქურიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27-VI, 8 ს. გამოსვენება 28-VI, 6 ს. ენგელსის ქ. № 15.

სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის თანამშრომლები იუწყებიან

ბესარიონ ლუკას-ძე ტულუშის

გარდაცვალებას. გამოსვენება 26-VI, 6 ს. პლეხანოვის პროსპ. № 97.

შვილები ანა, ეკატერინე, ალექსანდრა, ალექსანდრა, ანა, ეკატერინე, ალექსანდრა, ანა, ეკატერინე, ალექსანდრა, ანა, ეკატერინე